ჟ 532

აგიტატორის ბლოკნოტი

1954

I–VI X–XII

ჟზ-532
1954
I-VI · IX-XII
N1-40.
-5154-

# მათი სიტყვა და საქმე

## ჩემი სამუშაოები 1954 წელს

1954 წელს განზრახული მაქვს რამდენიმე ძირითადი სამუშაო:

1. პირველ ყოვლისა უნდა შევკრიბო მასალები ქართული ენის ისტორიისათვის XII — XVI საუკუნეებისა.

2. უნდა გადავამუშაო „ქართული გრამატიკის საფუძვლები", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა და რომელშიც გაშუქებულია ქართული მორფოლოგიის ძირითადი საკითხები. ამ წიგნს გამოკვლევის ხასიათი აქვს, შიგ ბევრი მასალაა მოთავსებული და ბევრი დეტალია განხილული. საჭიროა იგი შემცირდეს ისე, რომ მიეცეს სახელმძღვანელოს ხასიათი და ადვილად დასაძლევი გახდეს სტუდენტებისათვის.

3. ჩემი ხელმძღვანელობით ქართული ენის კაბინეტმა დაამზადა „ვეფხისტყაოსნის" სიმფონიის მასალები, რომლების შემოწმება და წესრიგში მოყვანა დოც. ი. იმნაიშვილმა. ახლა საჭიროა საბოლოოდ გადახედვა ჩემგან და დაბეჭდვა. იმედი მაქვს, რომ სიმფონია გამოვა საშემოდგომოდ.

4. უნდა გაძლიერდეს მუშაობა ძველი ქართული ენის სასწავლო ლექსიკონის შედგენისათვის, რომელიც ძველი ქართული ენის კათედრას აქვს წამოწყებული. 1953 წელს ვმუშაობდით მასალის ამოწერაზე დაბეჭდილი წიგნებიდან, 1954 წელს კი ამოწერილი იქნება მასალები უმთავრესად IX — X საუკუნეთა ხელნაწერებიდან, სამუშაო დიდია და პასუხსაგებელი. ამ ამოწერილი მასალების მიხედვით 1955 წელს შედგება ლექსიკონი, რომელიც კარგა მოზრდილი ტომი იქნება. შიგ შევა ქართული ენის ლექსიკა V — X საუკუნეებისა.

5. ძველი ქართული ენის კათედრაზე ამჟამად მყოფი ხუთი ასპირანტიდან წელს უნდა წარმოადგინოს და დაიცვას დისერტაცია ოთხმა ასპირანტმა. ამათგან ერთი პოლონელია, ენ მეორე უცხოელია, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობით ქართულ ენას სწავლობს (პირველი იყო ჰ. ფოხტი, ნორვეგიელი, რომელმაც 1936 წელს ოსლოში გამოსცა ქართული ენის გრამატიკა ფრანგულ ენაზე).

იმედი მაქვს, მეტად ნაყოფიერი იქნება 1954 წელი.

პროფ. **ა. შანიძე**

## ნაყოფიერი შრომისათვის—

დაარსების დღიდან ვმუშაობ ლაბორანტად კავკასიურ ენათა კაბინეტში. მას შემდეგ არც თუ ისე დიდი დრო გასული, მაგრამ გულს ახარებს ახლა კეთილმოწყობილი, მდიდარი ბიბლიოთეკის მქონე კაბინეტი, რომელშიც გულმოდგინედ მეცადინეობენ სტუდენტები.

სტუდენტების მომსახურებას, კაბინეტის წიგნადი ფონდის გამდიდრებაზე ზრუნვას და სხვ. დიდი დრო სჭირდება, მაგრამ მე მაინც ყოველთვის ვპოულობდი დროს სამეცნიერო მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

სხვადასხვა დროს ვიყავი ფაკულტეტის ავტკოლექტივის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა პროფბიუროს თავმჯდომარე, ამჟამად ფაკულტეტის პარტბიუროს მდივნის მოადგილედ ვარ არჩეული.

სამი წლის წინათ შევუდექი საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნების ჩაბარებას, ახლა ყველა საგანი ჩაბარებული მაქვს და დაწერილი მაქვს სადისერტაციო შრომაც. ჩემი სადისერტაციო ნაშრომის თემაა — „ზმნისართები სვანურ ენაში". დისერტაციის დასაწერად სვანური ენის საფუძვლიანი შესწავლა დამჭირდა: ოთხჯერ ვიყავი სამეცნიერო მივლინებით სვანეთში და ყველა დიალექტის მასალები შევაგროვე. მომავალ, 1954 წელს, იმედი მაქვს, დავიცავ დისერტაციას, და კიდევ მეტი ენერგიით, მონდომებითა და მუყაითობით განვაგრძობ სამეცნიერო მუშაობას.

**გ. კაჭარავა,**
კავკასიურ ენათა კაბინეტის ლაბორანტი.

## სპეციალობის დასაუფლებლად

ჩემთვის 1953 წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო: წილად მხვდა მონაწილეობა მიმეღო ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მე შესაძლებლობა მომეცა უშუალოდ გავცნობოდი ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, მინსკის, პეტროზავოდსკის და სხვა ქალაქების სტუდენტების სამეცნიერო მუშაობას.

გაერთიანებული ვარ რა სამოქალაქო სამართლის წრეში, ძირითად მიზნად ვისახავ რაც შეიძლება ღრმად დავეუფლო არჩეულ სპეციალობას. დაუღალავი მუშაობის შედეგად მე სწავლის ფრიადოსანი ვარ, მაგრამ მარტო სწავლით როდი კმაყოფილდები, აქტიურად ვმონაწილეობ საზოგადოებრივ მუშაობასა და სპორტულ ღონისძიებებში.

დღეს, როცა ჩვენ ვდგავართ ძველი და ახალი წლების მიჯნაზე, მე დასკვნას ვუკეთებ ჩემ მიერ ჩატარებულ მუშაობას განვლილი წლის მანძილზე და ვადგენ გეგმას ახალი, 1954 წლისათვის.

ჩემს წინაშე დგას ამოცანა — კიდევ უფრო ღრმა და ორიოზული მეცადინეობით გავაფართოვო ცოდნის ჰორიზონტი, კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მივიღო სტუდენტთა სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობაში.

თქვენ, ჩემო ძვირფასო ამხანაგებო, მოგილოცავთ ახალ — 1954 წელს და გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს.

**ო. თენეიშვილი,**
იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

## კვლავაც წარმატებით ვიმუშავებ

შეუძლებელია წარმატება გქონდეს სწავლასა და შრომაში, თუ რაციონალურად და მაქსიმალურად არ გამოიყენებ დროს. ვხელმძღვანელობდი რა ამ პრინციპით, გასულ წელს, საზოგადოებრივ მუშაობას წარმატებით ვუთავსებდი ფრიადზე სწავლას, ვხელმძღვანელობდი გეოგრაფია-გეოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს. საზოგადოებრივი დატვირთვა სრულებით არ მიშლიდა ხელს წიგნზე სისტემატურად მუშაობაში, რათა ღრმად დავუფლებოდი არჩეულ სპეციალობას და წარმატებით შემესწავლა საზოგადოებრივი მეცნიერებანი.

დაიწყო 1954 წელი. ამოცანად ვისახავ, რომ კვლავაც წარმატებით ვიმუშაო. ამჟამად სტუდენტთა XV საუნივერსიტეტო კონფერენციისათვის ვამზადებ კვლევით მოხსენებას „ყაზბეგისა და ლუდუშაურის წყებების პეტროგრაფია". სამეცნიერო სესიისათვის, რომელსაც ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭო ამზადებს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად, ვწერ მოხსენებას „მაგმური მოვლენების განვითარება ოკრიბაში".

1954 წლის ზაფხული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ჩემთვის. ზაფხულის საწარმოო პრაქტიკაზე უნდა შევაგროვო სადიპლომო შრომისათვის საჭირო მასალები. ამ მასალების საფუძვლიანი დამუშავება უზრუნველყოფს სადიპლომო შრომის მაღალ ხარისხს.

**გ. მიქაძე,**
გ/გეოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

# საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერების მუშაკთა დიდი ჯგუფი, მათ შორის:

### სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან

### მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. **აბულოვი** ვართან იოსების ძე — უფროსი ლაბორანტი.
2. **ამილახვარი** თამარ გიორგის ასული — უფროსი ლაბორანტი.
3. **ბიპერი** არნოლდ ავგუსტის ძე.
4. **ბურჯულაძე** ვერა ალექსის ასული — უფროსი მასწავლებელი.
5. **გამრეკელი** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — უფროსი მასწავლებელი.
6. **დონდუა** ქეთევან ვასილის ასული — ლაბორანტი.
7. **ერქომაიშვილი** ალექსანდრა ყარამანის ასული — ასისტენტი.
8. **ზაუტაშვილი** კონსტანტინე გიორგის ძე — კათედრის გამგე.
9. **იმხნელი** ალექსანდრე კონსტანტინეს ძე — კათედრის გამგე.
10. **კაპანაძე** ოლღა ვასილის ასული — უფროსი მასწავლებელი.
11. **კეცხოველი** ოლღა იოსების ასული — ასისტენტი.
12. **ყიფიანი** ელისაბედ გიორგის ასული — უფროსი ლაბორანტი.
13. **კობიძე** მარიამ ნიკოლოზის ასული — ასისტენტი.
14. **ლაბაძე** ქსენია ზინობის ასული — უფროსი ლაბორანტი.
15. **მათიაშვილი** ნინო ივანეს ასული — უფროსი მასწავლებელი.
16. **მესხი** ელენე პროკოფის ასული — ასისტენტი.
17. **მიქაბერიძე** დიმიტრი არჩილის ძე — უფროსი მასწავლებელი.
18. **ნათაძე** ვახტანგ გიორგის ძე — უფროსი მასწავლებელი.
19. **ნუცუბიძე-ჩხეტია** ქეთევან სოლომონის ასული — უფროსი ლაბორანტი.
20. **ხურგულაძე** ქეთევან ლუკას ასული — უფროსი ლაბორანტი.
21. **ტაბატაძე** ოლღა ზაქარიას ასული — უფროსი ლაბორანტი.
22. **თევზაძე** ნიკოლოზ რაჟდენის ძე — ასისტენტი.
23. **ცინცაძე** დუდუხან ხარიტონის ასული — უფროსი ლაბორანტი.
24. **ქიქაშუა** ნადეჟდა ვასილის ასული — უფროსი ლაბორანტი.
25. **ჭუბაბრია** ელენე პეტრეს ასული — ლაბორანტი.
26. **შენგელია** ზურაბ სიმონის ძე — ასისტენტი.

* დასასრული. დასაწყისი იხილეთ „ახალგაზრდა სტალინელის" 36-ე, 38-ე და 39-ე ნომრებში.

# დამსახურებული ჯილდო

პრესაში უკვე გამოქვეყნდა ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოებულია მხცოვანი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე თვალჭრელიძე.

პროფ. ა. თვალჭრელიძე პროფ. ა. ჯანელიძესთან ერთად ქართული გეოლოგიური სკოლის შემქმნელი და ხელმძღვანელია.

პროფ. ა. თვალჭრელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა იწყება ჯერ კიდევ მისი სტუდენტობის პერიოდიდან. მოსკოვის უნივერსიტეტში ყოფნისას ა. თვალჭრელიძე მუშაობს ცნობილ გეოლოგ პროფესორ ვერნადსკისთან.

1919 წ. ა. თვალჭრელიძე მოწვეული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის გამგედ. უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებისთანავე პროფ. თვალჭრელიძე, მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა კათედრის ორგანიზაციას. მის მიერვეა ჩამოყალიბებული საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მინერალებისა და პეტროგრაფიული მასალის შეგროვებას როგორც თბილისის მიდამოებში, ისე საქართველოს სხვა რაიონებში. ამ მუშაობით პროფ. თვალჭრელიძემ საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფო უნივერსიტეტთან ამჟამად არსებულ მინერალოგიისა და პეტროგრაფიის მუზეუმს.

ამავე დროს პროფ ა. თვალჭრელიძე მუშაობს საქართველოს მინერალური რესურსების გამოვლინებისათვის.

სოფ. გუმბრთან მის მიერ აღმოჩენილი იქნა ე. წ. ფლორიდინული თიხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთობის მრეწველობაში. თიხა „გუმბრინის" შესწავლის მიზნით 1927 წ. პროფ. თვალჭრელიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრასთან დააარსა ლაბორატორია, რომელიც ერთი წლის შემდეგ გარდაიქმნა მინერალური ნედლეულის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალად.

აღნიშნული ინსტიტუტის თანამშრომლები პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით განაგრძობენ მინერალური ნედლეულის შესწავლას არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ რესპუბლიკებშიც. საქართველოს სამთამადნო მრეწველობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ინსტიტუტის მუშაობასთან.



პროფ. თვალჭრელიძე არის ავტორი 60-ზე მეტი მეცნიერული შრომისა.

დიდია პროფ. თვალჭრელიძის დამსახურება, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის: მან აღზარდა ბევრი კვალიფიციური მუშაკი, რომელთა შორის ბევრია მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი.

ახალგაზრდა გეოლოგების უახლოესი მეგობარი და საყვარელი მასწავლებელი, პროფ. თვალჭრელიძე ძალასა და ენერგიას არ იშურებს, რათა მისცეს სამშობლოს მომზადებული სპეციალისტები.

საბჭოთა ხელისუფლებამ მაღალი შეფასება მისცა ამ დიდი ქართველი გეოლოგის დაუღალავ შრომას. პროფ. ა. თვალჭრელიძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ლენინის ორდენით და მედლებით.

გასულ წელს ხანგრძლივი და უმწიკვლო მეცნიერული მუშაობისათვის იგი მეორედ დააჯილდოვეს ლენინის ორდენით.

მხცოვანი მეცნიერისათვის ეს ჯილდო საწინდარია მისი შემოქმედებითი მუშაობის ახალი ენერგიით წარმართვისა.

**რ. მაჭაშვილი**

# სტუმრად დილმელებთან

მანქანამ საქართველოს სამხედრო გზატკეცილიდან დილმისკენ გადაუხვია. გამოჩნდა თოვლით დაფარული გორაკების ძირში გაშენებული სოფელი. ცოტაც და სოფლის დასაწყისში ლამაზი მესერით შემოვლებულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ეზოს მივადექით.

მტს-ის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, აგრონომი მ. ჯავახიშვილი შეგვეგება. იგი დირექტორის კაბინეტში შეგვიძღვა.

„ჩვენ მოხარულები ვართ, რომ უნივერსიტეტმა იკისრა ვალდებულება—შეფობა გაუწიოს დილმის მტს-ს. ეს დაგვეხმარება, კიდევ უფრო გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, კიდევ უფრო დაუახლოვოთ ერთმანეთს წარმოება და მეცნიერება"— თქვა მტს-ის დირექტორმა.

მთავარმა მექანიზატორმა ამხ. შ. შენებაშვილმა სადგური დაგვათვალიერებინა. მექანიკურ საამქროში სარემონტო ტრაქტორები იდგნენ; მალე ისინი დილმის ველებზე აგუგუნდებიან—რამდენიმე კვირაც და საგაზაფხულო თესვა დაიწყება.

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ სტუდენტები და მტს-ის თანამშრომლები წითელ კუთხეში შეიკრიბნენ. გ. გელეიშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა მ. ღლონტმა წაიკითხა მოხსენება „პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ".



**სურათზე:** სტუდენტები ათვალიერებენ მექანიკურ საამქროს.

ფოტო ლ. ჭილაშვილისა

ამხ. შ. გენებაშვილმა გვიამბო მტს-ის მუშაობის შესახებ. მტს-ში არის თვითმავალი კომბაინი, რომლითაც შარშან 700 ჰექტარზე აიღეს მოსავალი; საათივით მუშაობსო, თქვა კომბაინერმა თ. ხაკათაშვილმა.

მტს-ში წარჩინებულ ტრაქტორისტებად ითვლებიან ა. კენჭოშვილი და ვ. ჯანიაშვილი. ისინი სანიმუშოდ უვლიან თავიანთ ტრაქტორებს და გეგმას ყოველთვის გადამეტებით ასრულებენ.

მტს-ის მუშაკებმა და ჩვენმა სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ასეთი შეხვედრები მომავალში კიდევ უფრო ხშირად მოეწყოს.

მტს-ის ბიბლიოთეკას ჩვენ გადავეცით პოლიტიკური, ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურის 500-ზე მეტი ტომი.

**ნ. ბარნაველი**

# ადამ მიცკევიჩი

(დაბადებიდან 155 წლისთავის აღსანიშნავად)



## ...ისადმი

თვალებში მიმზერ და ამ თვალთა ბნელი იგავი,
შენ ვერც კიამჩნევ, როგორ გიქრობს გულის მნათობებს;
ვიდრე უკუნით შემოსილხარ, წადი, დამტოვე,
წინანდებურად უმანკო და წმიდა იყავი.

მე განვიძარცვე მარტოობის ქარით, გრიგალით
და მწუხარების ავდრიანმა წლებმა დამთოვეს.
შენ კი ასეთი სიყვარულით რად მოგანდომებს
დღეებმა ჩემთან სიახლოვე და მადრიგალი.

შენ ახლა მშვიდი და ბალღური ფიქრით მშვენდები,
გული ხალისის უნაპირო ზღვით რომ აივსე;
მე კი სამარეს მივაბარე ყრუ იმედები.

ჟამიც, ზღვახავით ბობოქარი და ხიხალისე.
სურო ხარ შენა, მოეხვიე მწვანე ალვის ხეს.
ჩრდილმა მოჰბურობს სამარეთა მძიმე სვეტები.

* * *

ო, საყვარელო, ღვთაებრივი ალერსის წუთებს
შხამით მიზავებს ეგ მწუხარი მიმოგონება:
რა გადიტანა შენმა გულმა, რა შეღონება, —
გარდასულ ჟამს რომ ცრემლიანი ღამეებს უთევ?!

შენ რა გაქვს ბრალი — თუ წამწამთა ელვარე ბუდემ
და ბაგეთ ვარდმა — მოხიბლულთა იწყეს მონება;
მოენდე აგრე ჩემს სიყვარულს, გულს და გონებას,
და ზენაარმა ცეცხლოვანი მოგვავლო ზღუდე.

მარტოდ შთენილნი აუხდენელ ოცნებათ გზაზე,
ტრფობის წყურვილით, იმ დღეების შრიალში ასე
ვიბრძოდით დიდხანს, დაშვრებოდა ვიდრემდის გული.

ახლა კი დავალ, საკურთხეველს ლოცვებით ვავსებ
და უფალს არ ვთხოვ შემიწყალოს, არამედ მხურის
იმ შენი წმინდა ცრემლებისთვის არ მაგოს შური.

## ჭერამხანის საფლავები

აქ სიყვარულის ჯერ უმწიფარ მტევნებისაგან
მსხვერპლი მოილეს; აქ უებრო მარგალიტები
განცხრომის ზღვიდან ამოკრიფა გრძნეულ თითებით
და მიითვალა საუკუნო ძილის ნიაღრამ.

სიცოცხლე იგი დავიწყების ფრთით გადიშალა:
მათ საფლავებზე ქვის ჩალმები ყრუ გარინდებით
თვლემენ და იქვე შებურვილი ჩუმი ბინდებით
გიაურთაგან დაჩნეული მოჩანს ნიშანი.

ედემის ვარდნო! სათნოების მწვანე კორდებზე
კდემის ფოთლებით მოჩრდილულნი უცხო თვალისგან
თქვენი მზიანი ვარდობის თვე ქარმა დანისლა.

ახლა ურჯულოს მზერა დაძრწის ამ ყრუ ლოდებზე...
შენ მომიტევებ, უძლეველო, გულმდუღარი სხვა
და ცრემლიანი არ უნახავს ამ საგოდებელს.

პოლონურიდან თარგმნა **თამაზ ჩხენკელმა**

## ალბომში

ორი სხვაგვარი ხვედრი ქვეყნად გვარგუნა ბედმა;
ვით ორი გემი, ისე შევხვდით ერთმანეთს ზღვაში.
შენს გემს აფრები, როგორც ფრთები, ნუგეშად ჩემდა
მიაქროლებენ ზღვის ტატნობზე ტალღების ტაშით.
ჩემი გემი კი — უხამო ტრიალებს მძიმედ,
არ ძალუძს წინსვლა იმ საშინელ ქართაგან დაშლილს.
როს შავი ბედი მამცნობს — ჩემს გემს ჩაუქრობს იმედს
და ქია დაღრღნის მის გულს — კომპასს გადვისვრი წყალში.
უნდა დავშორდეთ! შევხვდებით კი, ჩემო ოცნებავ?
შენ არ მომძებნი, მე არ ძალმიძს შენი მოძებნა.

თარგმნა **ჯ. ნიკაბაძემ**

* * *

თუ დაინახო ნავი ყარიბი,
შორს დაკარგული ტალღების ცეშით, —
ნუ შეაშფოთებ გულს მწუხარებით,
ნუ მოგადგება თვალებზე ცრემლი.
დიდი ხანია აღარ ჩანს გემი,
გაქრა იმედიც, წავიდა ნავიც...
რა საჭიროა უძლური ცრემლი,
როს აღსასრული ახლოა მაინც!?
რა! სჯობს, ისევ ქარიშხალს მისცე
უკანასკნელი სიცოცხლის წამი,
ვიდრე გახვიდე მყუდრო ნაპირზე
და ჭრილობები ითვალო მწარედ.

თარგმნა **ბ. ბარდაველიძემ**

# დიდი პოლონელი პოეტი

დიდი პოლონელი პოეტი ადამ მიცკევიჩი (1798 — 1855) მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიკოსთაგანია. ადამ მიცკევიჩმა პირველი ლექსებისა და ბალადების გამოქვეყნებისთანავე მიიქცია ლიტერატურის მოყვარული საზოგადოების ყურადღება. განსაკუთრებით დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ მის პირველ ნაწარმოებებს რუსეთში. საზოგადოების ასეთი გამოხმაურება იმით უნდა აიხსნას, რომ მიცკევიჩის ნაწარმოებებს დიდი პოეტური გენიის შექედი აზის. ნატიფი განცდების უფაქიზესი ნიუანსები, უწმიდესი სიყვარული და ამაღლებული გრძნობები ისე ცხოველად და ძლიერადაა გადმოცემული მის თხზულებებში, რომ გულის სიღრმემდე წვდება მკითხველს და ჭეშმარიტ ესთეტიკურ კათარზისს იწვევს. მიცკევიჩმა ორგანიულად აითვისა როგორც ხალხური პოეზიის საწყისები, რაც განსაკუთრებით მის მომხიბვლელ ბალადებში გამოვლინდა, ისე კლასიკური პოეზია; მაგ., თავის „სამიჯნურო სონეტებში" იგი პეტრარკას ღირსეულ მოწაფედ და მემკვიდრედ გვევლინება. მისთვის არც ეპიკური პოეზია ყოფილა უცხო. ბრწყინვალე პოემებში („გრაჟინა", „პაპები", „პან თადეუში", „კონრად ვალენროდი") მან გამოხატა პროგრესული იდეები, მისწრაფება ნიჭეთისა და თავისუფლებისადმი.

ადამ მიცკევიჩი დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. ფილარეტებისა და ფილომატების, ფარული საზოგადოების მუშაობაში მონაწილეობისათვის მეფის მთავრობამ რუსეთში გადმოასახლა იგი 1824 წელს. რუსეთში ყოფნისას მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ მოწინავე რუსი მწერლები და რევოლუციონერები — პუშკინი, რილეევი, ბესტუჟევი და სხვ. ამ ხანებში იმოგზაურა მან ყირიმში და დაწერა თავისი „ყირიმული სონეტები", უბრწყინვალესი შედევრები მსოფლიო ლიტერატურისა.

ოცდაათიან წლებში იგი პარიზში გადასახლდა და დააარსა გაზეთი „ხალხთა ტრიბუნა". ამ გაზეთის ფურცლებიდან მიცკევიჩი ქადაგებდა ხალხთა შორის სოლიდარობისა და თავისუფლების იდეებს.

მას სიკვდილამდე არ მოუსვენია. მთელს ევროპაში მოგზაურობდა; უკავშირდებოდა ევროპის ყველა ხალხის პროგრესულ მოღვაწეებს; სხვათა შორის გოეთესაც ეწვია ვაიმარში. 1855 წელს კონსტანტინეპოლში ყოფნისას ხოლერა შეეყარა და გარდაიცვალა სამშობლოსაგან მოწყვეტილი და მიუსაფარი. მისი ნეშტი ბარათაშვილის ნეშტივით დიდხანს ატარეს, ვიდრე სამშობლოში ჩაიტანდნენ და მშობლიურ მიწას მიაბარებდნენ.

ქართველი მკითხველი პოეტის სიცოცხლეშივე გაეცნო მის ნაწარმოებებს. პირველი ქართული თარგმანები, ს. რაზმაძისა და გ. ერისთავის მიერ შესრულებულნი, 30-40-იან წლებში დაიბეჭდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორიოდე წლის წინათ ცალკე წიგნად გამოვიდა მიცკევიჩის რჩეულ თხზულებათა კრებული, მისი პოეტური მემკვიდრეობის თარგმნა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გაშლილი და ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. ჩვენს უნივერსიტეტთან არსებულ ახალგაზრდა მწერალთა წრეს თავისი წვლილი შეაქვს ამ საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია თ. ჩხენკელის თარგმანები, რომლებიც წრის ალმანახ „პირველ სხივში" და სხვაგანაც დაიბეჭდა და მკითხველთა ფართო წრეების მოწონებას იმსახურებს.

**ქ. ქილარჯიანი**

# სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების III კონფერენცია

1953 წ. 18 დეკემბერს ჩატარდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების III კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს მუშაობის შესახებ გააკეთა დ. კაციტაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა სამეცნიერო საბჭომ ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი სამეცნიერო წრეების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით: მოეწყო სამეცნიერო სესიები, გამსვლელი სესიები თელავისა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, საბჭოს ინიციატივით უნივერსიტეტის შვიდმა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო ქ. ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტთა მე-7 სამეცნიერო კონფერენციაში. ეწყობოდა კოლექტიური სტლები და ექსკურსიები. მაღალ იდეურ და მეცნიერულ დონეზე ჩატარდა სტუდენტთა მე-15 სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც წაკითხული იქნა 272 მოხსენება.

გააუმჯობესეს მუშაობა სტუდენტთა სამეცნიერო წრეებმა. საანგარიშო პერიოდში წრეების მიერ ჩატარებული იქნა სამეცნიერო კონფერენციები, გამსვლელი სესიები და სხვა ღონისძიებანი. ამ მხრივ აღსანიშნავია ისტორიის, გეოგრაფია-გეოლოგიის და ბიოლოგიის ფაკულტეტების სამეცნიერო წრეების მუშაობა. კარგად მუშაობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის, პოლიტიკური ეკონომიის და დიალექტიკური მატერიალიზმის სტუდენტთა სამეცნიერო წრეები, გაიზარდა წრეების წევრთა რიცხვი, ამაღლდა მოხსენებების ხარისხი.

მაგრამ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას თავის მუშაობაში გააჩნდა ნაკლოვანებანიც. სტუდენტთა მე-15 სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებათა ნაწილი ჯეროვან მეცნიერულ სიმაღლეზე ვერ იდგა. კონფერენციასთან ერთდროულად ტარდებოდა III სპარტაკიადა, რის გამოც კონფერენციის მუშაობაში სტუდენტთა მცირე ნაწილი იღებდა მონაწილეობას.

სამეცნიერო წრეების ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ მათში სტუდენტთა ჯერ კიდევ მცირე ნაწილია გაერთიანებული. მაგალითად, ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო წრეები აერთიანებენ 90-100 სტუდენტს, ფაკულტეტზე კი 900-მდე სტუდენტი სწავლობს. ზოგიერთი სტუდენტი რამდენიმე სამეცნიერო წრის წევრია, რაც ხელს უშლის მათ, თავიანთი კვლევითი უნარი მთლიანად ერთ რომელიმე საგანში განავითარონ. მაგალითად, ქ. მებუკე არის 4 სამეცნიერო წრის წევრი. პოლიტიკური ეკონომიისა და დიალექტიკური მატერიალიზმის სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში მხოლოდ ეკონომიური, ფილოსოფიისა და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტობაა გაერთიანებული. აღნიშნულმა წრეებმა ვერ შეძლეს მუშაობაში სხვა ფაკულტეტების სტუდენტთა ჩაბმა.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს მუშაობის ნაკლოვანებებზე ილაპარაკეს ამხანაგებმა: ი. ქადარიამ, ვ. ქარუმიძემ, გ. მიქაძემ, რ. ლამბაშიძემ, მ. ანთაძემ, მ. ლორნტმა და ნ. ჩუბინიძემ.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ — უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში — პროფ. ს. ჟღენტი და პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ალექსიშვილი, რომელთაც სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას ახალი ამოცანები დაუსახეს.

კონფერენციამ საბჭოს მუშაობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად და მიიღო ღონისძიება.

კონფერენციამ აირჩია სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ახალი საბჭო 17 ამხანაგის შემადგენლობით.

შედგა ახლად არჩეული საბჭოს პირველი სხდომა. სხდომამ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ო. ლორთქიფანიძე, მოადგილეებად ამხ. დ. კაციტაძე და რ. ლამბაშიძე.

**ვ. ქარუმიძე**

# პროფესორ-მასწავლებელთა საწარმოო თათბირი

ამ დღეებში უნივერსიტეტში შედგა პროფესორ-მასწავლებელთა საწარმოო თათბირი.

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა პრორექტორი — პროფ. ი. გვერდწითელი, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიაზე ამხ. გ. მ. მალენკოვის სიტყვაში დასმული ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში დიდი მოვალეობანი ეკისრება ჩვენი უნივერსიტეტის კოლექტივს.

ჩვენი მუშაობის მთავარი ამოცანაა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება სახალხო მეურნეობისა და კულტურის მრავალი დარგისათვის. უნივერსიტეტიდან ყოველწლიურად ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი იგზავნება სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე. ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკთა საპატიო მოვალეობაა, სათანადოდ მოამზადონ ისინი და აგრეთვე კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ საკვლევო-სამეცნიერო მუშაობა და ამით სათანადო წვლილი შეიტანონ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში.

ამ მხრივ ჩვენს უნივერსიტეტს აქვს გარკვეული წარმატებანი: ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი, ამაღლდა ლექციებისა და სემინარების ხარისხი, სტუდენტები ძირითადად უზრუნველყოფილნი იყვნენ სასწავლო პროგრამებით. შეუფერხებლად მუშაობენ სამკითხველო დარბაზები და კაბინეტ-ლაბორატორიები, დროულად შედგა საგამოცდო ცხრილები და სხვ.

მაგრამ მიღწევებთან ერთად იყო ნაკლოვანებანიც. ჯერ კიდევ არასათანადო დონეზე დგას იდეოლოგიური მუშაობა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის. მაგალითად, ამას წინათ უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემული ივ. ჯავახიშვილის წიგნი „ქართველი ერის ისტორია" (V ტ.) სერიოზულ შეცთომებს შეიცავს. საკმარისად არ არის გაშლილი აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტთა შორის. სტუდენტობა მთლიანად არაა დაკმაყოფილებული სასწავლო პროგრამებით. არასაკმარის სიმაღლეზე დგას რუსული ენის სწავლების საქმეც. საკმაო რაოდენობითაა შეთავსებით მომუშავე ლექტორები (80 კაცზე მეტი). ხშირია შემთხვევები დისერტაციების დაცვის ვადების დარღვევისა, რაც ხშირად რეცენზიების დაგვიანებით წარმოდგენის შედეგია. ადგილი აქვს არასრულფასოვანი შრომების წარმოდგენის შემთხვევებსაც და სხვ.

სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი — ამხ. მ. ალექსიშვილი. მან ყურადღება მიაქცია იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების საკითხებს. აღნიშნა, რომ გამოცდები ხშირად არაობიექტურად ტარდებოდა. საჭიროა სტუდენტის შრომის შეფასებისას ლიბერალიზმის შემთხვევების ლიკვიდაცია.

უნივერსიტეტის რექტორმა — პროფ. ე. ბურჭულაძემ ხაზი გაუსვა იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას. მან თქვა, რომ უნდა ჩატარდეს სპეციალური სესიები და კონფერენციები, გაძლიერდეს ხელმძღვანელობა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი. უნდა დაინერგოს შემოქმედებითი ლექციები, პროფესორ-მასწავლებლები უკეთესად უნდა ემზადებოდნენ ლექციებისათვის და სხვ. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად უფრო მეტი გაქანება უნდა მიეცეს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, განსაკუთრებით — კრიტიკას ქვემოდან.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე პროფესორები: ი. სურგულაძე, დ. ყიფშიძე და ა. ნოღაიდელი.

თათბირმა მიიღო ღონისძიება.

**ქ. მამალაძე**

## თეორიული კონფერენცია

ამ დღეებში უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის ინიციატივით ჩატარდა კომკავშირული აქტივის თეორიული კონფერენცია, რომელზედაც წაკითხული იქნა შემდეგი მოხსენებები: სკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება — „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ — სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის საბრძოლო პროგრამაა (მომხსენებელი — ეკონომიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ო. გელიაშვილი), პარტიისა და მთავრობის ღონისძიებები სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში უდიდესი წვლილია მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას შორის კავშირის შემდგომ განმტკიცებაში (მომხსენებელი — ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი მ. ლორტი), სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის გადამწყვეტი პირობაა (მომხსენებელი — გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტი ი. მამაიაშვილი).

**ნ. ბეთანიშვილი**

## როგორ ამუშავებენ პრაქტიკის მასალებს

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო დიდ ყურადღებას აქცევს სტუდენტების მიერ წმინდა მეცნიერულ-კვლევითი ხასიათის თემების დამუშავებას. ამ მხრივ სტუდენტებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საზაფხულო პრაქტიკა, რომელიც ფაკულტეტის თითქმის ყველა ჯგუფს უტარდება.

განსაკუთრებით ნაყოფიერია მესამეკურსელთა პრაქტიკა. ისინი სამი თვის განმავლობაში მოგზაურობენ საქართველოს თითქმის ყველა გეოლოგიურად საინტერესო რაიონში. გარდა ამისა, მათ უკვე აქვთ მიღებული საკმაო თეორიული ცოდნა, რათა მეცნიერულად გადაამუშაონ პრაქტიკის დროს შეგროვილი მასალები.

ამას წინათ ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭომ საზაფხულო პრაქტიკის შედეგების შეჯამების მიზნით მოაწყო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. პირველ დღეს მოსმენილი იქნა სამი მოხსენება, რომლებიც მიეძღვნა მარშრუტს: რუსთავი — თბილისი, მცხეთა — ყაზბეგი — ძაუჯიყაუ. მოხსენება — „გეოლოგიური ჭრილი რუსთავიდან მცხეთამდე“ — წაიკითხა ჯ. ხელიამ, „გეოლოგიური ჭრილი მცხეთიდან ყაზბეგამდე“ — ი. დუდაურმა და მოხსენება — „გეოლოგიური ჭრილი ყაზბეგიდან ძაუჯიყაუმდე“ — ნ. ბუაძემ. მომხსენებლებმა პირადი დაკვირვებებისა და არსებული მეცნიერული ლიტერატურის დახმარებით ვრცლად გააშუქეს ექსკურსიის დროს დათვალიერებული ადგილების გეოლოგიური თავისებურებანი, ქანების სტრატიგრაფია და პეტროგრაფიული შედგენილობა. მოხსენების პროცესში ხდებოდა სქემების და ნიმუშების დემონსტრირება.

მეორე დღეს მოსმენილი იქნა ორი მოხსენება: „დასავლეთ გურიის მიდამოების გეოლოგიური აგებულება“ (მომხს. ლ. ანდრონიკაშვილი) და „ქუთაისისა და ტყიბულის რაიონების გეოლოგიური აგებულება“ (მომხს. გ. ჩიქაძე).

ორივე მოხსენების გარშემო ცხოველი კამათი გაიმართა, დასმული იქნა ბევრი საინტერესო შეკითხვა, რომლებზეც მომხსენებლებმა დამაკმაყოფილებლად უპასუხეს. კონფერენციის შედეგები შეაჯამა პრაქტიკის ხელმძღვანელმა დოცენტმა ნ. სხირტლაძემ.

**შ. ბერიძე,**
„ახალგაზრდა სტალინელის“ კორესპონდენტი.



მოახლოვდა საზამთრო სესიები. სხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებიც ენერგიულად ემზადებიან გამოცდებისათვის.

**სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები — ე. თიდრია, ც. ცერსიმამშვილი და გ. მიქიაშვილი პეტროგრაფიის კაბინეტში მუშაობის დროს.

ფოტო გ. თიკანაძისა.

## სააახალწლო წკიპურტები

### სათაურიდან შესავალამდე...



ექსასპირანტი ათი წელია
მუშაობს წელში გადაწყვეტილი.
— როდის დაიცავს დისერტაციას?
— ათას ცხრაას და (მრავალწერტილი).
იქნებ დასწერა დისერტაცია,
იქნებ მორცხვობდეს, იქნებ მალავდეს...

ათი წელია ვეღარ მივიდა
სათაურიდან შესავალამდე.
ბოლოს ამ მედდე-მეხვალიემა
არც გააცხელა, არც გააცია,
ბევრი იფიქრა და მოიფიქრა —
იხევ გადახდო დისერტაცია.

### თოვლის ბებია



კათედრის გამგე ლაბორანტს

ბები, ბები, ჩემო ბები,
თმები გაგთეთრებიაო,
მერამდენე წელი გადის,
ჩემო თოვლის ბებიაო!

ყოველ ახალ კალანდობას
ახე გედუდუნებიო:
რომ საგნები ამ წელს მაინც
ჩაგემინიმუმებიოს!

### მისგან გასწორდეს ყოველი

ჩვენს დალაქს ვერ გაექცევი,
ნურც შებრალებას მოელი,
არ ერიდება არავის —
მისგან გასწორდეს ყოველი.

სისხლის წვეთებად დაწდები
განაქაფ-დანარჩხავი.
მერე წადი და ეძიე,
დალაქია თუ მხერხავი.



ტექსტი ნ. დუმბაძისა.
მხატვარი შ. ხუციშვილი

## საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის კაბინეტში

ცალკე კეთილმოწყობილი ოთახის გადაცემის შემდეგ უფრო ნაყოფიერი და მრავალმხრივი გახდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის კაბინეტის მუშაობა. კაბინეტში მომუშავე სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, ესარგებლათ იქ მოთავსებული მდიდარი სპეციალური ლიტერატურით და დანიშნული კონსულტაციებით. კაბინეტი უფრო და უფრო ივსება ახალ-ახალი ლიტერატურით, დამხმარე სქემებითა და დიაგრამებით. კაბინეტის ლაბორანტი ოლია დოლიძე დიდ გულისხმიერებას იჩენს სტუდენტებისადმი, ეხმარება მათ ლიტერატურის შერჩევაში. ამას წინათ კაბინეტში მოეწყო დიდი სტენდი, რომელშიც მოთავსებულია სტუდენტთა მიერ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში წელს ჩატარებული საწარმოო ექსკურსიის მასალები.

**მ. ჯოლია,**
საკუთარი კორესპონდენტი.

## დროულად დავიწყოთ მზადება 1954 წლის სეზონისათვის

ჩვენი უნივერსიტეტის ზოგიერთ ალპინისტს ჰგონია, რომ ზამთრობით შავკურიანში ორიოდე კვირით წასვლა საკმარისია იმისათვის, რომ მზად შეხვდე საზაფხულო სეზონს. ცხადია, ეს აზრი ძირშივე მცდარია.

ალპინიზმი, ისევე როგორც სპორტის ყველა სხვა სახე, მუდმივ და სისტემატურ წრთვნას მოითხოვს.

ყოველი ალპინისტის (ან იმ სტუდენტის, რომელსაც სურს გახდეს ალპინისტი) დღის რეჟიმში აუცილებლად უნდა შედიოდეს დილის გამამხნევებელი ვარჯიში. განსაკუთრებით დიდად უნდა დაიტვირთოს ქვედა კიდურები, რისთვისაც ალპინისტი უნდა აწარმოებდეს ამაღლებს 10—15 კგ-იანი სამხრე ტომრით. კარგია, თუ ალპინისტი ჩაატარებს ბაგირზე ცოცვებს და სხვა.

სტუდენტმა, რომელსაც სურს გახდეს ალპინისტი, უნდა ჩააბაროს მშთ II საფეხურის ნორმები. სასურველია, რომ იგი იქნება კალათბურთის ან მძლეოსნობის სექციის წევრი.

კვირა დღეებში ალპინისტი უნდა გავიდეს ქალაქგარეთ და ივარჯიშოს კლდეზე ცოცვაში, ამისათვის ჩვენ, თბილისელებს, კარგი პირობები გვაქვს.

სისტემატურად უნდა ტარდებოდეს ვარჯიშები თოკით, კვანძის შეკვრის წესების დასაუფლებლად, ჩამოსვლისა და ასვლის ტექნიკის შესასწავლად; ალპინისტი უნდა ეჩვეოდეს წრიალებისა და სიარულს, სიონარევებზე გადასვლას და სხვა.

უნივერსიტეტის ალპინისტთა სექციამ უახლოეს დროში უნდა შეკრიბოს აქტივი, გამოიმუშაოს ღონისძიება ვარჯიშის დასაწყებად, რომ მომზადებული შეხვდეს 1954 წლის საზაფხულო სეზონს.

**ქ. ზაუტაშვილი,**
სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

## კონკურსი საუკეთესო ნახატებზე

ხატვისა და ფერწერის შემსწავლელი სტუდენტთა წრე 1954 წლის 10 თებერვალს აწყობს პირველდაწყებითი ნახატების გამოფენას. სტუდენტთა პროფკომისა და ალკკ კომიტეტის მიერ გამოცხადებულია კონკურსი. კონკურსში გამარჯვებული ავტორები დაჯილდოებული იქნებიან ფასიანი საჩუქრებით. კონკურსში მონაწილეობა თავისუფალია. ნახატების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 8 თებერვალი.

## ავანთე სანთელი..

— ერთი, ორი, სამი... ერთი, ორი, სამი... განმკლავი, წინზნექი, უკუზნექი, მიმკლავი, ნაბიჯით იარ!... — მელოდიური მარშის თანხლებით ბრძანებს რადიო... სტუდქალაქში მცხოვრებ სტუდენტებს კი ნაბიჯის გადადგმის თავი არა აქვთ, სიცივისაგან გათოშილნი ვერ ელევიან სასოებით გამთბარ ლოგინებს.

ხშირად გაიგონებთ სტუდქალაქის მმართველის კაბინეტში ასეთ დიალოგს:

— ბატონო მმართველო, გავიყინეთ, გვიშველეთ რამე!

— მოიცადეთ, ყმაწვილებო, აი გამოიდარებს, თოვლი დადნება, საავტომობილო გზები გაიხსნება, ჩამოვიტანთ ქვანახშირს და... — ოცნებობს მმართველი.

— კი, მაგრამ თოვლი გაზაფხულამდე არ გადნება.

— რატომ, რატომ? არის შემთხვევა, როდესაც თოვლი ზამთარშიც დნება...

— დიდად პატივცემულო კომენდანტო, გვიშველეთ რამე, ვიყინებით; ლექტორი კი ყურსაც არ გვიგდებს. როგორ ვიმეცადინოთ სიცივეში? გამოცდა დაგვეწყო.

— გაიყინეთ? მერე და ვისი ბრალია? ყოველ დილით წყალში დასველებული ტილოთი უნდა დაიზილოთ ტანი და აღარ შეგცივდებათ.

— კი, მაგრამ წყალი რომ დილით არ მოდის!?

— სალამოთი დაიზილეთ!

— სალამოს სინათლე არ არის. სიბნელეში რა უნდა ვქნათ? ვერაფერს ვხედავთ!

— ნუ გეშინიათ, არ დაიხრჩობით...

დილით სიცივისაგან გათოშილი და პირდაუბანელი სტუდენტი სასადილოსაკენ მიეშურება...

იწყება კომედიის მორიგი სურათი: სტუდენტი დგება რიგში, იღებს ყანგით შეჭმულ, თითქოს და არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი დანა-ჩანგლის იშვიათ ექსპონატებს და უჯდება მაგიდას.

ორი საათის ლოდინის შემდეგ მოაქვთ პირველი.

ულუფაში შეიძლება ბეწვი იპოვოთ და აყვირდეთ:

— რას ჰგავს ეს!?..

— გაჯა კი არა, ბორშია, ყმაწვილო!..

— მომიტანეთ საჩივრის წიგნი!

— ერთი ცალი გვქონდა და მეზობელ სუფრაზე მივართვით, — წუხს ოფიციანტი.

მართლაც და, ერთი საჩივრის წიგნი ვერ აკმაყოფილებს სტუდენტთა მზარდ მოთხოვნილებას!..

სტუდენტი ნაცემივით ბრუნდება ოთახში.

— იქნებ ვიმეცადინო, ხვალ გამოცდა მაქვს.

მაგრამ ყოველივე თავიდან იწყება: უსინათლობა, უწყლობა და სიცივე.

აი, თქვენ მიჰყვებით თბილისის ქუჩებს, ძალაუნებურად გაგირბით თვალი ნათელი სარკმლებისაკენ, სადაც სიცოცხლე ხარობს, ოთახში თბილა, სტუდენტები და მოსწავლეები ჭსხედან განათებულ საწერ მაგიდებს და გულმოდგინედ სწავლობენ. მეზობელი სახლებიდან ისმის მხიარული და წკრიალა სიმღერები. გული სიხარულით გევსება.

სტუდქალაქში კი...

აქ იშვიათად გაიგონებთ ისეთ „პოპულარულ“ სიმღერებს, როგორიცაა — „ზამთრის ყინვა არ მაშინებს“, „შენ გამინათე ღამის უკუნი“, „წყალში ვდგევარ, ცეცხლი მეკიდია“; სტუდქალაქიდან უფრო ხშირად ასეთი სიმღერები ისმის: „გარეთ ცივა, ქრის ქარი“ (ოთახშიც), „ავანთე სანთელი, ოთახში ბნელოდა“, ან „რად დამშრალხარ, შე ონკანო“...

...და ყოველივე ეს არ აწუხებს სტუდქალაქის მმართველს — ამხ. ჩეკურიშვილს.

**ჯიბგე დუმბაძე**

რედაქტორის მაგიერ ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 00108.